ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ40.40221252**
თარიღი:**05/05/2022**

სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე. ვ^{1}.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, უწყებათაშორისი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვახტანგ გადელია - მუნიციპალიტეტის მერი; კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ნანა ზარანდია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი; კომისიის წევრი;

გ) ნატალია ხუბუა - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

დ) დონარა ალანია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი; კომისიის წევრი;

ე) ჯულიეტა ჩოჩია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ვ) გივი მისაბიშვილი - მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის უფროსი; კომისიის წევრი;

ქ. სენაკი, 4100, ი.ჭავჭავაძის.№103 ტელ.: (0 413) 27 75 47
ელ-ფოსტა: SENAKISMERIA@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI.GOV.GE

ზ) თეა გრიგოლია - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი; კომისიის წევრი;

თ) დარეჯან ზარანდია - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქალაქ სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი; კომისიის წევრი;

ი) ლაშა გუნავა, შს სენაკის სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორი - გამომძიებელი პოლიციის მაიორი; კომისიის წევრი;

კ) ნანა პაჭკორია - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრის სენაკის რაიონული წარმომადგენლობის სოციალური მუშაკი; კომისიის წევრი;

ლ) თეა გოლეთიანი - ა(ა)იპ კულტურულ - ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“-ს პროექტების კოორდინატორი; კომისიის წევრი.

2. დამტკიცდეს თანდართული სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის დებულება.

3. კომისიის უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვროს დებულებით, სამოქმედო გეგმით და მოქმედი კანონმდებლობით.

4. კომისიის გაუქმება და შემადგენლობის ცვლილება განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. კომისიის გაუქმების შემდგომ დარჩენილი საქმიანობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასასრულებლად გადაეცეს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს.

6. კომისიის შემადგენლობაში ცვლილება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 ნოემბრის №ბ40.40203184 ბრძანება „სენაკის მუნიციპალიტეტის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისიის შექმნის შესახებ“.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს პროაქტიური წესით.

9. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. სენაკი, 4100, ი.ჭავჭავაძის.№103 ტელ.: (0 413) 27 75 47
ელ-ფოსტა: SENAKISMERIA@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI.GOV.GE